



DASATINIB - SPRYCEL®

რა არის SPRYCEL

მოლეკულის აღწერა	აღწერა
დასათინიბი	20 მგ ტაბლეტი: თეთრი, მრგვალი 50 მგ ტაბლეტი: თეთრი, ოვალური 70 მგ ტაბლეტი: თეთრი, მრგვალი 80 მგ ტაბლეტი: თეთრი, ოვალური 100 მგ ტაბლეტი: თეთრი, ოვალური 140 მგ ტაბლეტი: თეთრი, მრგვალი 10 მგ/მლ პერორალური ხსნარი 

როგორ უნდა მიიღოთ წამალი?

წამლის დოზირება განსაზღვრულია თქვენი ექიმის მიერ.

თქვენს შემთხვევაში, უნდა იყოს მგ/დღეში, ანუ 20 მგ-ანი ტაბლეტი

ან 50 მგ-ანი ტაბლეტი ან 70 მგ-ანი ტაბლეტი ან 100 მგ-ანი

ტაბლეტი ან 140 მგ-ანი ტაბლეტი, მიიღება ერთ მიღებაზე, ყოველდღე.

ტაბლეტები გადაყლაპეთ მთლიანად, ერთ ჭიქა წყალთან ერთად, დაქუცმაცების, გატეხვის,

დაღეჭვის ან განზავების გარეშე. მიიღეთ ფიქსირებულ დროს, კვებისას ან კვების გარეთ.

დავინწყების ან ღებინების შემთხვევაში: არ მიიღოთ დამატებითი დოზა, დაელოდეთ შემდეგ მიღებას.

დოზირება - მიღების წესი

ერთხელ დღეში, ერთსა და იმავე დროს, საკვებთან ან მის გარეშე	  
უწყვეტლივ	       ...  დ1 დ2 დ3 დ4 დ5 დ6 დ7 ... დ28

როგორ მოიქცეთ, რომ არ გამოგელიოთ მარაგი?

ეს წამალი ხელმისაწვდომია ქალაქის აფთიაქებში.

მის მიწოდება შესაძლოა დასჭირდეს გარკვეული დრო. ყურადღებით იყავით და წინასწარ დაგეგმეთ თქვენი რეცეპტის განახლება.

შეინახეთ ეს წამალი ორიგინალ შეფუთვაში, სითბოსა და ტენიანობისგან დაცულ ადგილას.

სხვა რა ინფორმაცია უნდა იცოდეთ?

გამაფრთხილებელი ზომები და მეთვალყურეობა

თქვენი მედიკამენტის მიღება საჭიროებს ბიოლოგიურ მეთვალყურეობას (სისხლის საერთო ანალიზის აღება, რომელიც საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ სისხლის მაჩვენებლებს, ელექტროლიტებს, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციებს) და კლინიკურ მეთვალყურეობას (არტერიული წნევა).

კონტრაცეფცია

ეს წამალი შეიძლება ზიანს აყენებდეს ჩანასახს. თქვენ და თქვენმა პარტნიორმა მკურნალობის მთელი

პერიოდის განმავლობაში და მისი შეწყვეტიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა გამოიყენოთ ეფექტური კონტრაცეპტული მეთოდები (პრეზერვატივი და დამატებითი მეთოდი).

მედიკამენტებთან და/ან კვებასთან ურთიერთქმედება

SPRYCEL®-ის სხვა პრეპარატებთან ერთად მიღებამ შესაძლოა გამოიწვიოს არასასურველი ეფექტები (პრეპარატის ეფექტურობისა და ამტანობის შემცირება). ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თქვენი ფარმაცევტი და მკურნალი ექიმი ინფორმირებული იყვნენ ყველა იმ მედიკამენტის და/ან სხვა ნივთიერებების (საკვები პროდუქტები, მცენარეები, პრობიოტიკები, ეთერზეთები, საკვები დანამატები და სხვ.) შესახებ, რომელსაც იღებთ

მაგალითი: მოერიდეთ კრაზანას ან გრეიფრუტის მიღებას SPRYCEL®-თან ერთად.

რომელია არასასურველი გვერდითი მოვლენები?

ყველაზე გავრცელებული გვერდითი მოვლენები ჩამოთვლილია ქვემოთ. ასევე შესაძლოა სხვა გვერდითი ეფექტებიც გამოვლინდეს. დამატებითი ინფორმაციისთვის გაეცანით მედიკამენტის ინსტრუქციას ან მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

გვერდითი მოვლენები	
ყველაზე ხშირი	საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები: გულისრევა, ღებინება, დიარეა, კუჭის ტკივილი სისხლის საერთო ანალიზის მაჩვენებლების დარღვევები: თრომბოციტების (თრომბოციტოპენია), ჰემოგლობინის (ანემია) და/ან ნეიტროფილების (ნეიტროპენია) შემცირებასისხლის საერთო ანალიზის მაჩვენებლების დარღვევები: თრომბოციტების (თრომბოციტოპენია), ჰემოგლობინის (ანემია) და/ან ნეიტროფილების (ნეიტროპენია) შემცირება ზოგადი დარღვევები: კიდურების და/ან სახის შეშუპება, წყლის შეკავება ზოგადი დარღვევები: დაღლილობა, კიდურების და/ან ქუთუთების შეშუპება, თავის ტკივილი ტკივილი: სკაზმები, კუნთების ტკივილი, თავის ტკივილი კანის დარღვევები: გამონაყარი, ქავილი, თმის ტექსტურის ან ფერის შეცვლა (შესაძლოა თმის ცვენა). გულის პრობლემები: ძლიერი, სწრაფი ან არარეგულარული გულისცემა ფილტვების პრობლემები. სისხლდენა, დაღლილობა
ზოგ პაციენტს ესაჩიროება განსაკუთრებული ყურადღება	B ჰეპატიტისა მატარებელი პაციენტები
როდის უნდა მიმართოთ სამედიცინო ჯგუფს?	
გააფრთხილეთ სამედიცინო გუნდი შემდეგ შემთხვევებში, თუ არ გაქვთ მიღებული კონკრეტული სამედიცინო რეკომენდაციები	საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები > წონის სწრაფი და/ან მნიშვნელოვანი კარგვა > ძალიან ხშირი დიარეა, დღეში 4-ზე მეტჯერ კუჭში გასვლა > ინტენსიური ტკივილი მუცლის არეში > 24 საათის განმავლობაში დაღევის და/ან დაახლოებით 48 საათის განმავლობაში ჭამის შეუძლებლობა. ინფექციის მაჩვენებელი სიმპტომები > ტემპერატურა > 38,5 °C > ხველება, ყელის ტკივილი, ტკივილი შრდვისას, დიარეა და სიცხე ერთად სისხლდენის მაჩვენებელი სიმპტომები > სისხლი განავალში ან ღებინების დროს > სისხლჩაქცევები (სილურჯები), ცხვირიდან სისხლდენა ფილტვების არეში დარღვევები > დიდხნიანი ხველების გაუარესება ან სუნთქვის გართულება ტკივილები, რომელიც ხელს გიშლით ჩვეულ აქტივობებში > თავის ტკივილები. სახსრების / ტკივილი გულის პრობლემის ან წყლის შეკავების მაჩვენებელი სიმპტომები > წონის სწრაფი და მოულოდნელი მატება. გულის ან სისხლძარღვთა სისტემის დარღვევის ნიშნები > თავის ტკივილი, ყურებში ზუზუნი და/ან თავბრუსხვევა > დასაშვები ციფრების ზრდა არტერიული წნევის გაზომვისას > სუნთქვის უკმარისობა, გულის აჩქარება, წნეხი გულმკერდის არეში



როგორ უნდა მოახდინოთ გვერდითი მოვლენების პრევენცია?	
კანის მოვლა	ჰიგიენისთვის უპირატესობა მიანიჭეთ რბილ საპონს და დამატენიანებელ კრემს, გაიშრეთ ტამპონირებით. მოერიდეთ ნებისმიერი გამაღიზიანებელი საშუალების გამოყენებას. მზისგან დასაცავად გამოიყენეთ დიდი მზის დამცავი კრემი და მოერიდეთ მზებზე გასვლას.
წონა	გააკონტროლეთ რეგულარულად თქვენი წონა კუჭ-ნაწლავის დარღვევების დროს ან წყლის შეკავების შემთხვევაში
წყლის შეკავება	ნუ ატარებთ ძალიან მჭიდრო ტანსაცმელს, წინდებსა და ფეხსაცმელებს. აწყვეთ ფეხები სიმაღლეზე.
ინფექცია	მოერიდეთ რისკის შემცველ ადგილებს (ხალხმრავლობა, ავადმყოფებთან კონტაქტი და ა.შ.). რეკომენდებულია პნევმოკოკისა და გრიპის საწინააღმდეგო აცრა : ის თქვენ დაგიცავთ.
წნევის კონტროლი	მაღალი წნევა უნდა გამოსწორდეს. არტერიული წნევის რეგულარული გაზომვა რეკომენდებულია . ფარმაცევტებს შეუძლიათ დაგეხმარონ წნევის გაზომვაში. შეგიძლიათ სთხოვოთ, რომ თქვენ თვითონ გაიზომოთ ავტო-წნევის გამზომით.
თმის ცვენა	გამოიყენეთ გამოიყენეთ რბილი შამპუნი (ჩვილებისთვის განკუთვნილი) მცირე დოზით. უპირატესობა მიანიჭეთ რბილ კბილის ჯაგრისს თავიდან აიცილეთ თმის ძალიან ხშირი დაბანა. მოერიდეთ სითბოს წყაროებს (ფენი, ცხელი ბიგუდები, თმის უთოები), თმის შეღებვას, მელირებას და ქიმიურ დახვევას.
სისხლდენა	მოერიდეთ ანთების საწინააღმდეგო პრეპარატების (იბუპროფენი, ასპირინი და ა.შ.) მიღებას. აცნობეთ თქვენს ექიმს: > თუ იღებთ ანტიკოაგულანტებს ან თრომბოციტების ანტიაგრეგანტულ პრეპარატებს : საჭიროა მკაცრი მონიტორინგი > ქირურგიული ან სტომატოლოგიური ჩარევის შემთხვევაში
დაღლილობა / ტკივილი	ამჯობინეთ ისეთი აქტივობები, რომლებიც თქვენს კარგად ყოფნას უწყობს ხელს, განსაკუთრებით კი ადაპტირებული და რეგულარული ფიზიკური აქტივობა: სიარული, ცურვა, ველოსიპედით სიარული, სპორტი და ა.შ. ჩაანაცვლეთ აქტივობის პერიოდი დასვენებით და პირიქით.
როგორ უნდა დაიწყოთ ადაპტირებული კვება?	
დიარეა	უპირატესობა მიანიჭეთ დაბალ ბოჭკოვან დიეტას. სასურველია, მიირთვათ სახამებლიანი პროდუქტები, სტაფილო და ბანანი. მოერიდეთ უმ ხილს და ბოსტნეულს, რძის პროდუქტებს, ყავას და ალკოჰოლს. დალიეთ წყალი დიდი რაოდენობით.
გულის რევის შეგრძნება	უპირატესობა მიანიჭეთ ფრაგმენტულ კვებას, რომელიც გადანაწილებულია რამდენიმე მსუბუქ რაციონად. საკვები უნდა იყოს თხევადი და ცივი. შეზღუდეთ ცხიმოვანი, შემწვარი და ცხარე საკვები.
წყლის შეკავება	უპირატესობა მიანიჭეთ მარილის დაბალი შემცველობის დიეტას.